

# კვირის კალიბრა

№ 51 (460) ◆ 22 - 28 დეკემბერი, 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



**„არ ვაპირებ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დაკავებას“** გვ.7

**„საქართველოს რიგი დღეა ქანთელარიაში“**



გვ.7

**„რამდენიმე დღე 200 კილოგრამი“**



**ოქრო განქანაუმი ედო“**

გვ.5,11



**ახალი დეტალები!**

**– რატომ მოკლეს გენერალი გია გულუა?!**

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გენერალი მოკლეს, კაზრეთიდან წამოღებული ძვირფასი კონცენტრატის იყო. მკვლელობის წინაღუდს სახელმწიფოს პირველ პირთან იყო მიღებაზე. საუბარი კონფიდენციალური იყო. გენერალმა პრეზიდენტს ნებართვა სთხოვა, რათა ფოთის პორტში, სარკინიგზო მაგისტრალსა და საავტომობილო გზებზე შესაბამისი ღონისძიებები განხორციელებინა. იმ დროს იქ ქაოსი იყო. საქონლით სავსე ვაგონები პორტში და გზებზე იძარცვებოდა. ქვეყნიდან არალეგალურად გაედინებოდა აურაცხელი სიძლიერე... თითქოს ამ საუბრის შესახებ არავის არაფერი უნდა სცოდნოდა, მაგრამ ჩანს, პრეზიდენტის კაბინეტში ისმინებოდა(!).

**„აჭარა თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ითხოვს“**

ახალი ხელისუფლებისგან ჩვენ კოსმეტიკურ რემონტს კი არა, ევრორემონტს ველოდებით გვ.3

ზოგმა ქონების გატანა ვერ მოასწრო, ზოგსაც აქ უნდა ძველებურად ცხოვრება. როგორ გგონიათ, ეს ხალხი არ შეიკრიბება და ბოლომდე არ იტყვის – ახალ ხელისუფლებას არ გადაუაროთ? ახალი ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ასეთ განაწევრებულ ხალხს ივორ გიორგაძის სახით ლიდერი აჩუქა.

რამაზ კლიმიაშვილი

**სამხედრო თემაზე:**



საქართველომ ეს ერთხელ უკვე გაიარა...

გვ.8

**ვის სურს საქართველოში შეიარაღებული კონტრაბანდის რეალური საფრთხე თუ წინასწარჩვენო გათვლა?**

**სააკაშვილის ან ნაბიჯს ვის სანიანაღმადგომოდ გამოიყენებენ** გვ.6



თუ შევარდნაზე გიორგაძე იმ მიზნით დაავჯილდოვდა, რომ ეჭვი კვირაიაზე არ გაჩნდიყო, მაშინ მას პასუხისმგებლობა ეკისრება დამნაშავეს დაფარვის გამო.

...შეგობრებმა სააკაშვილს მთელი ხმით აძახებინეს – გადაამდგარ პრეზიდენტს უფლება არა აქვს, მოქმედი პრეზიდენტის თვითმფრინავით იმგზავროსო. დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ხალხი, რომლებიც იტყვიან, რა უფლებით ცხოვრობს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი სამთავრობო რეზიდენციაში. მის ამ ნაბიჯს მავანი მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.



გვ.13

**დენი გვექნება?**

„დივერსიების საშიშროებას არ გამოვრიცხავ“

**აიხვარით გრიპზე და შეუპოვით დათვაბზე ნაღირობას** გვ.13

სერიოზულ მატებას თბილისში იანვრის მეორე ნახევრისთვის ველოდებით, თორღე ეპიდემიურ ხასიათს ნამდვილად არ მიიღებს. ავადობა ძირითადად მოსალოდნელია ბავშვთა კონტინენტებში, ვისაც წინა სეზონში გრიპი არ გადაუტანია. ამის შესახებ ჯერ კიდევ სექტემბერში ვაფრთხილებდით მოსახლეობას. გრიპისთვის მზადება სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დაიწყოთ.

**შედეგები ნომერი „წლის კალიბრა“!**





# „ბუთქუნა და მისი მეგობრები“ საახალწლოდ სანტა-კლავს ბალარჩენენ...

ქართველ ბავშვებს საახალწლო სიურპრიზი ელთ ბუთქუნასა და მისი მეგობრებისგან. რა, არ იცით, ვინ არის ბუთქუნა? მაშინ ვერ მის შესახ-

და „თეთრი ფარდის“ ხელმძღვანელი, მსახიობი **გიბა აბესალაშვილი** გვესაუბრება.

გიბა აბესალაშვილი „თეთრი ფარდის“ ბავშვებთან



რამდენადაც ვიცი, ახალი ანიმაციური ფილმის შექმნის იდეა საბავშვო ნიგნების სერიალიდან წამოვიდა, სადაც ბუთქუნასა და მის მეგობრებზე პატარა, მხიარულ ამბებს ბეჭდავენ. მათი ავტორის, გოჩა ტყემელაშვილისა და მულტიპლიკატორ ამირან ისიანის იდეით მოიწვიეს მხატვრები, მულტიპლიკატორები, შეიძინეს საანიმაციო მაგიდები, რომელზეც იხატებოდა კადრები ფილმისათვის და მერე კომპიუტერში მოხდა მათი ამოჭრება. დიდი დახმარება გაგიწიეს „კვირის პალიტრის“ სასწავლო-კომპიუტერულმა სტუდიამ და ჯგუფ „საუნდის“ სოლისტმა თემურ ხვიბლიანმა, რომელმაც მულტიფილმისთვის მუსიკა შექმნა. ამის შემდეგ საჭირო იყო გახმოვანება. მოგვხსენებთ, ჩემს სტუდიამ ბავშვები თამაშ-თამაშით სწავლობენ სამსახიობო ოსტატობას, მეტყველებას. შევთავაზე გოჩას და ამირანს, პატარებმა გაახმოვანონ გმირები-მეთქი. უკვე გაეხმოვანეთ ორი სერია. ბავშვებმა უკვე მოირჩეს გმირების სახითები...

— როცა პატარებს თანამშრომლობა შეესაბამება, როგორი რეაქცია უქონდათ?

— გაოცებული თვალებით შემომხედეს. ვერ გაიგეს, რა ხდებოდა. მერე რომ ნახეს, როგორ კეთებოდა ფილმი, როგორ იხატებოდა, როგორ „ცოცხლდებოდა“ კომპიუტერში, დაიბნენ, შემინდნენ კიდევ... თავიდან თავიანთი ხმებიც არ მოეწონათ ჩანანერში.

— მათი უზრავლებლობა, ვინც მულტიფილმი უნდა, თელის, რომ ეს უფრო 8-10 წლის ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

— რა გითხრათ, რეჟისორებმა ასე გადაწყვიტეს. მე უფრო მარტივ და საბავშვო თემს ვირჩევდი. შეიძლება რაღაც ხარვეზები იყოს, მაგრამ თანდათან დაევიწყებოდა. ჩვენ ხომ ნულიდან არ ვინწყებთ, საქართველოში

საკმაოდ ღრმა ფესვები გვაქვს: „მძლეთამძლე“, „ჩიკვატა ქორნილი“, „წუნა და წრუნუნა“, „მტრობა“, „ყურმა გაყოყონდა“... რომელი ერთი... მულტიპლიკატორთა ნამდვილი სკოლა გვექონდა და მათ დღესაც შეუძლიათ სასწავლებლის კეთება. სამწუხაროდ, ხელშეწყობა არ აქვთ ფინანსურად. ბუთქუნაც, ფირზე რომ ჩაენერათ, სულ მცირე 50.000 დოლარი დასჭირდებოდათ.

— თქვენმა პატარა შვილებმა როგორ შეაფასეს ახალი ანიმაციური ფილმი?

— სამწუხაროდ, პრემიერა ისეთ დროს იყო ეთერში, რომ მათ ეძინათ, დილით კიდე უკვე სკოლაში იყვნენ, ამიტომ ვერ ვერ ნახეს. იმედა, უფრო „საბავშვო“ დროსაც გაუშვებენ ტელეკომპანიები. ის ბავშვები კი, ვინც გმირები გაახმოვანა, აღფრთოვანებულები არიან და ახალ „სამუნუნას“ ითხოვენ... არადა, არც-არც ისე იოლია პატარებისთვის მუშაობის პროცესი. თუმცა, არც დაინუნებენ, დაღლილობის გამო. ხშირად მახსენდება ის მულტიფილმები, რომლებზეც გავიზარდეთ და დღესაც სიამოვნებით ვუყურებთ მათ, თუ რა თქმა უნდა, უშვებენ ეთერში. სამწუხაროა, რომ ჩვენი ბავშვები უყურებენ უცხოურ მულტიფილმებს, სადაც კეთილი გმირი ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან ის, ვინც კეთილად ითვლება, ლანის თვალბინდებაც კი ტყვიას ისვრის და ნამდვილი კაცობაა. ჩემს შვილებს ძალიან უყვართ „წუნა და წრუნუნა“. უმცროსმა ერთხელ მკითხა, იქნებ ამისნა, თუ ფიცხელა წრუნუნას მძაბრი იყო, ქორნილში რატომ არ დაპატოვეს, მაშინ ხომ ვეღარავინ მოსტაცებდა წრუნუნას წუნასო.

— როგორია „თეთრი ფარდის“ რამდენი ბავშვია?

— ოცდაათი. ჩვენ არ ვზრდით მათ მსახიობებად ან მოცეკვავებად, ჩვენ ვზრდით პირველად მათ და მერე თვითონ გადაწყვეტენ, რა გზა აირჩიონ. თუ რომელიმეს განსაკუთრებულ ნიჭს შევამჩნევ, მეც მივხმარებ. ისე კი, ფილმიც გადავიღებ სახელწოდებით „გადილილა“, სადაც პროფესიონალ მსახიობებთან ერთად თამაშობენ ჩვენი ბავშვები, გადავიღებ სარეკლამო კლიპებსაც. ახლანდელი პატარა სექტაკლი უნდა გენახათ, როგორ ნერვიუობდნენ. ეს ძალიან მისაროდა, ე.ი. დიდ პასუხისმგებლობას გრძობენ. უკვე მეორე სექტაკლიც მოვამზადე, მაგრამ გვერდში მდგომი არავინ გვაქვს, რომ ფინანსურად დაგვეხმაროს. ბავშვებს ვახდევინებთ ფულს, ანუ სექტაკლის ბილეთებს მათზეც ყვიდით, რომ დარბაზის იჯარის თანხა გადავიხადოთ. ამ ბავშვებსაც სჭირდებათ ხელშეწყობა. თეატრში არ იყვნენ ნამყოფნი. ნავიყვანე, გაგიყვანენ სიხარულით. ამას ნინათ ხორავას სახლში ვიყავით. ყურადღებით ათვალთვლებდნენ ქართული სცენისა და ეკრანის ვარსკვლავების ფოტოსურათებს, თუმცა, ვერ გაიგეს, ვინ იყვნენ, რომელი მსახიობები. ერთი მოეწონათ ძალიან, იაშა ტრიპოლსკი, ფაფახით არის გადაღებული, ყვირილი დაიწყეს — ბობ მარლეი, ბობ მარლეი... ცოდონი არიან ეს ბავშვები, უყურებენ ტელესერიალებს, საშინელებათა ფილმებს, უხიერო მულტიფილმებს და ლამე აღარ სძინავთ. რაღაც უნდა შეიცვალოს აუცილებლად. მისაბაძი გმირები სჭირდება მომავალ თაობას.

# ამ წინდასაც დავესოვ და...

კვირას, შარდენის ქუჩაზე გაიმართა გამოფენა-გაყიდვა, რომელიც საქველმოქმედო იყო. გლდანის № 2 ბავშვთა სახლის დასახმარებლად ასო-

აღურად დაწულ ნაწარმებს. „არც ერთი თბავს მილი ჩვენ გვერდით!“ — აგულანებდა გამვლელს იქვე მდგარი აფრიკული ვარცხნილობის



„სარეკლამო აგენტი“. შარდენის ქუჩაზე უცხოელებიც გამოჩნდნენ. მათთვის ჩვეული ღიმილითა და ოკეის ძახილით მიიკვლევდნენ გზას. განსაკუთრებული გულუხვა არაა შემინფეხია მათთვის. ახალგაზრდა ქართველებს უფრო ხშირად მიჰქონდათ ჯიბისკენ ხელი. ამან ძალიან გამახარა. უკვე ათეული წლებია, რაც თავი დავიწმუნეთ, რომ ჩვენ, როგორც გაჭირვებულებს, სხვები უნდა გვეხმარებოდნენ, სულ მოლოდინში უნდა ვიყოთ, როდის ინებებს კეთილი ამერიკელი ან ფრანგი, ან თუნდაც გერმანელი ჩვენს გაკითხვას. რა თქმა უნდა, ამ ლოდინს ბევრად სჯობია, თუნდაც სულ მცირედი, მაგრამ მიხედავ ჩვენე ვაგილით მაღლი.

შარდენის ქუჩას რომ გამოვცდი, პატარა სკვერში მოხუცი ქალი ჰყიდა და მზესუმზირას. ხელში საქსოვი ეჭირა, უკვე მოქსოვილი ჭრელი წინდის ცალი კალთაზე ედო. — დავესოვ ამ წინდებს და მოგაწვდით, — ამბობდა ახალგაზრდების მისამართით. — ესენიც ნაუღეთ იმ ბალებებს, ერთს მაინც ხომ გაუთბობს ფეხებს... მერე, თუ ღმერთმა ინება, მეორე წყვილსაც დავესოვ... P.S. საქველმოქმედო აქციით შემოსული თანხით გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატს რემონტი ჩაუტარდება. ღიმილითა და ხალისით გაღებულ ყოველი თეთრი კი ათმაგ სიხარულად ეძევა ქველმოქმედს...

ლელა ჯიყაშვილი

# კოტე მახარაძე — 66 წელი სენაზე

საქართველოში კაცი არ გვეგულდება, ჩვენგან ნასული დიდი ადამიანი და მსახიობი კოტე მახარაძე რომ არ იცოდეს. და მაინც, ფეხბურთის განსაკუთრებული პოპულარობისა და ბატონი კოტეს შუადარბული დიქციის წყალობით მისი სახელი, პირველ ყოვლისა, ფეხბურთის კომენტატორთან ასოცირდება. თავად კი სრულიად საფუძვლიანად თვლიდა თავს ორი ბატონის, ხელოვნებისა და სპორტის მსახურად... თუმცა იგი რეპორტაჟების წაყვანის დროსაც მსახიობი იყო, რადგან ბუნებრივად ეს საწყისი სწავლობდა მასში. კოტე მახარაძე სცენაზე პირველად გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, უფრო სწორად, 1936 წელს გამოჩნდა, — ათი წლის ბიჭუნა ვირტუოზულად ასრულებდა მაკნატუნას როლს ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ბალეტ „კოპელიაში“. სექტაკლში მისი პარტნიორი გახლდათ ყველასათვის საყვარელი მსახიობი, ქალბატონი ელენე ყიფშიძე.

ამიანი. ჩვენ, კინოხელოვნები, ვალში ვართ კოტესთან — იგი არ გადაგვიღია ჩვენს წარმატებულ თუ წარუმატებელ ფილმებში.



„კოპელია“ ელენე ყიფშიძე და კოტე მახარაძე

სერგო ფარაჯანოვი იგონებდა: „თავს ვიმტვრევდით, ურთულეს „პა“-ს როგორ დაძლევდა, როგორ აიტაცებდა პერში ლენა ყიფშიძეს? აიტაცებს კი? შეძლებს? და მართლაც კოტემ ეს შეძლო. ასე ვიხილე პირველად ბალეტში კოტე. ვიხილე და მოვიხიბლე. ეს იყო სიკეთით სავსე ყმაწვილი, ვაჟკაცური, გონიერი და, რაც მთავარია, უგულთადადესი ად-

Advertisement for 'პოპულარული' (Popular) magazine, featuring a portrait of a woman and promotional text.

**მკითხველის პრემია \* მკითხველის პრემია**  
ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, აკვირის პალიტრის“ შურნაღისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეკლამის ქვეთარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო შურნაღისტური ნამუშევარი. ამ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებულ შურნაღისტის კონსოლბას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. რეკლამის ქვეთარი იხ. 35-ე გვერდზე.

**წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**  
1. ვაჟა გაგაშვილი — „ამ ბანდის შიშით ჩვენს გზებზე ველოსიპედიანი მგზავნიც კი ვერ დადიოდა...“ — 90 ხმა  
2. დავით დევიძე — „ყველა გზა მამალაისკენ მიდის“ — 39  
3. ირაკლი ალადაშვილი — „სამხედრო თემზე“ — 34  
4. იზო რეკაძე — „თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დამნაშავე, დაგვსაჯეთ“ — 28  
მკითხველის სახელით პრემიას ვაჟა გაგაშვილი მიიღებს.  
„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 330-მა რესპონდენტმა გამოავლინა

























ქვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



### პასუხები ვინისთვის

**პამ სუსიაშვილი** მაშინ ორი წლის იყო... შინ „ლაიკა“ გვყავდა, რომ იტყვიან, კარგად აღზრდილი ძაღლი. ერთხელ ოთახიდან გაისმა ძაღლის განწირული, წკაწკავენი გადასული „ტირილი“. შევევარდით ოთახში და რას ვხედავთ, პატარა ბექას ძაღლის ბენვითა აქვს სახე პირი, „ლაიკა“ კი საცოდავად შემოგვცქერის.  
— რა მოხდა, ბექა?  
— ლა და, ენას მიყოფდა და მა-

ბლაზებდა...  
**4 წლის სოფიკო ჯირცხალიაშვილი** ეკითხება ბებოს:  
— ნუნუ ბებო, ლა უნდა მაჭამო?  
— ჩიხირთმა, შემოგველე.  
— თმა ლაღა ძანდაბაა!  
**2 წლის მაია ძრისტასაშვილი** სარკეში ჩაიხედა. თავისი თავი დაინახა და თქვა:  
— მე მაია ვალ და ესეც მაია კოფილა.

### I ანა, გამოცხანი


- რომელი პროფესიის ადამიანები დებენ შიპოკრატეს ფიცს?  
ა) რეჟისორები; ბ) ექიმები; გ) პედაგოგები; დ) მოსამართლეები.
- ათი მცნების მიხედვით, რომელი დღე დაწესა უფალმა თავისთვის?  
ა) ორშაბათი; ბ) ოთხშაბათი; გ) პარასკევი; დ) შაბათი.
- რა პქვაა ქვირფასო ქვების წონის ერთეული?  
ა) კარატი; ბ) მილი; გ) ვერსი; დ) გრამი.
- რომელ საუკუნეში იყო შამქორის ბრძოლა?  
ა) მე-12; ბ) მე-14; გ) მე-15; დ) მე-16.
- ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარ“.  
ა) მუხრან მაჭავარიანს; ბ) გრიგოლ ორბელიანს; გ) აკაკი წერეთელს; დ) კონსტანტინე გამსახურდიას.
- ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ იყო ბერძენი?  
ა) სოკრატე; ბ) პლატონი; გ) პეგელი; დ) არისტოტელე.
- გამორიცხე ზედმეტი სიტყვა:  
ა) ცქვიტი; ბ) ზოზინა; გ) მარდი; დ) მკვირცხლი.
- რა არის წენგო?  
ა) კაკლის (ნაყოფის) გარეთა მომწვანო ფერის გარსი; ბ) მთის ფერდობი; გ) მარცვლოვანი მცენარე; დ) თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა.
- ანდაზის მიხედვით, ლორის ტილს რომ ფეზზე დაისვამ, სად აგაცოცდება?  
ა) ლოყაზე; ბ) მხარზე; გ) თავზე; დ) ხელზე.

- არსებობს საყოველთაოდ ცნობილი არაერთი სიტყვათა წყობა და დასახლება, რომელშიც რაიმე საკუთარი სახელი მონაწილეობს (მაგალითად, „კაპიტანი ნემო“, „სიზიფეს შრომა“ და სხვა). შეეცადე ქვემოთ მოცემული სიტყვებით (ერთი მარცხენა სვეტიდან, მეორე — მარჯვენადან) შეადგინო ანალოგიური სიტყვათა წყობა:
- |              |                |
|--------------|----------------|
| 1) ლურჯა     | 1) აქილევსი    |
| 2) მახვილი   | 2) ეგვიპტე     |
| 3) ლამპარი   | 3) მამა აბრამი |
| 4) ქოშები    | 4) სურამი      |
| 5) ანბანი    | 5) ნიანგი      |
| 6) კოშკი     | 6) დიოგენი     |
| 7) ბატკანი   | 7) მაგდანა     |
| 8) პირამიდა  | 8) ეიფელი      |
| 9) ქუსლი     | 9) ბაბაჯანა    |
| 10) კასრი    | 10) მორზე      |
| 11) ციხე     | 11) ალადინი    |
| 12) ცრემლები | 12) დამოკლე    |

### II გამოცხანა

ის ცხოველი ბინისთვის ხის ფულუროს ირჩევს, და ზამთრისთვის აგროვებს სოკოს, თხილს და გირჩებს.

რესი წაღება შეუძლია ზღარბს ეკლებით?



### ცხოვრების წესები ბიბლიური შეგონებანი

„გახსოვდეს! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“.

„თუ გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისთვის, ნუ გაანადგურებ მის ხეებს. რადგან თუკი ჭამ მათ ნაყოფს, არც უნდა მოჭრა“.

„ქვირისა და ობოლს ნუ დაჩაგრავ. თუ დაჩაგრავ, მე შემომჩივლებენ და შევისმენ მათ ჩივილს“.

„ნუ აარიდებ თავს, როცა შენი მოძმის დაკარგულ ხარს ან ცხვარს დაინახავ, არამედ დაუბრუნე იგი შენს მოძმეს“.

„ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ლარიბ-ლატაკს. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას“.


„როცა ზეთისხილს ჩამობერტყავ ან ვენახს დაკრეფ, ის, რაც ზეთისხილის ხეს და ვახს შერჩება, გალახავებს დაუტოვე“.

„თუ დაგიდგებათ მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავინრობთ მას. როგორც მკვიდრი, ერთი თქვენგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენ შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი“.

„ნუ დასცინებ ყრუს და ნუ დაუდებ ბრმას წინ ქვას. გეშინოდეს შენი ღვთისა“.

„მტრობა ნუ გექნება გულში შენი მოძმისადმი; ამხილე შენი ახლობელი და ცოდვა არ იქნება შენზე. შურს ნუ იძიებ და ბოლმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ; გიყვარდეს შენი ახლობელი, როგორც თავი შენი“.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ბროლის ფერი და კრიალა, ცივი არის და სრიალა“.



### იპოვე 12 განსხვავება



**საუკეთესო ზღაპრები**  
**+4 გასართობი გვერდი**  
 გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი

**გლანტონის სახლი**  
**ბურატიანოს თავგადასავალი**  
 ალექსანდრე ბოლსოვი

**სკოლსნა**  
 უნა ღიბნი პომენამი საათი

**რა შეელოდა საათს?**

**ქვირის აკლიზა**

ქვირის აკლიზა + გასართობი გვერდები  
 1 ლარი და 20 თეთრი ლირი

ზღაპრების შექმნა შეიმძლია „ქვირის აკლიზის“ საგაზეთო ჯინსიკაში, აგროთეკაში ან სხვა გაავრცელებულ ან ღიბნის გაყიდვაში











გაზიანე

სოფო გუგია



### ეკრძალებათ დედაკაცებს!


ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრმა განკარგულება გამოსცა – აეკრძალოთ ქალებს სამხედრო სამკურნალოში შესვლა. მიზეზი ამ განკარგულებისა შემდეგი იყო: კუბას კუნძულიდან რომ ამერიკელი ჯარის კაცი შინ ბრუნდებოდნენ, მამულიშვილი ამერიკელი ქალები მიესეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ეს მალე ჩვეულებად გადაიქცა და ამერიკელი ჯარის კაცი ძლიერ იტანჯებოდნენ მით უმეტესად, რომ მათ საკოცნელად ეტანებოდნენ უფრო ხანში შესული და ულამაზო ქალები. ქალებმა ესეც არ იკმარეს, შეცვივდებოდნენ სამკურნალოებში და კოცნით სულს უხუთავდნენ ავადმყოფ ჯარის კაცებს. ბოლოს ჯარის კაცებმა იჩივეს სამხედრო მინისტრთან და იმანაც დედაკაცებს აუკრძალა სამკურნალოში შესვლა.

„ივერია“, 1898 წელი, №264

### მოუარეთ პატიმრებს!

პეტერბურგის ერთს საპატიმროში მთელი წარსულის წლის განმავლობაში ყველა პატიმარსა სწონავდნენ იმ დროსაც, როცა საპატიმროში მიჰყავდათ და იმ დროსაც, როცა ანთავისუფლებდნენ. საპატიმროს უფროსი ერთობ ახირებული კაცი ყოფილა და მკაცრი განკარგულება გამოუცია, პატიმარმა წონაში არ დაიკლოსო. აღმოჩნდა შემდეგი 2,560 კაცთა შორის 2, 259-ს წონა მოემატა, 35-მა – საგრძნობლად დაიკლო. საპატიმროს უფროსი იმ მეთვალყურეების დათხოვნას აპირებს, ვისაც იმ 35 პატიმრის მოვლა ევალებოდა.

„ივერია“, 1898 წელი, №174



### სასჯელი ბანაობისთვის

ოცი წლის წინად ინგლისში შემოდებულ იქნა კანონი, რომელიც უკრძალავს მამაკაცთა იბანოს წყალში დედაკაცის მახლობლად. კანონში აღნიშნულია, რომ მამაკაცს შეუძლიან იბანოს 10 საუენის სიშორეზე იმ ადგილიდან, სადაც დედაკაცი ბანაობს. ამ კანონის ძალით სასამართლოში მისცეს სვანეჯის მცხოვრები ბანაობის მასწავლებელი. ბრალდებულის ვეჭილი ამტკიცებდა, რომ მასწავლებელს ბანაობის დროს დედაკაცთან მიახლოება დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოს, რადგანაც 10 საუენის სიშორეზე ბანაობის სწავლება ყოველად შეუძლებელია. ამ დედაკაცის ქმარი შეურაცხყოფილი ყოფილა და ბანაობის მასწავლებლის სასტიკად დასჯას მოითხოვდა. მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ ცნო, მაგრამ სასამართლოზე აღიარა ერთობ სულელური კანონი და სასჯელად მცირე თანხის გადახდა გადაუწყვიტა.

„ივერია“, 1898 წელი, №235

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ჩანართი მომზადებულია საქართველოში განათლების ასოციაციის მიერ.  
 მისამართი:  
 თბილისი, ალ. ქავჭავაძის ქ. 8/33  
 ტელ.: 996512, 922917 ფაქსი: 920596  
 E-mail: office@alpe.ge www.alpe.ge





# ს/ს „მადნეული“ - ყველაზე წარმატებული სახელმწიფო საწარმო

1996-1999 წელი. გაჩერებული წარმოება, მოძველებული და ამორტიზებული ტექნიკა, 12 მლნ კრედიტორული დავალიანება, გაუცემელი ხელფასები, გადაუხდელი გადასახადები.

## 2000 წელი

მოდის ახალი მენეჯმენტი ზურაბ ლობჯანიძის ხელმძღვანელობით, ახალი ძალით და ახლებური მართვის სტილით. წარმოება აჩქარებული ტემპებით იწყებს მუშაობას, შემუშავებული იქნა საწარმოს განვითარების ახალი პროექტი, ხალხი უბრუნდება სამუშაო ადგილებს და უკვე მაისის თვისათვის საწარმო უბრუნდება თავის ჩვეულ რეჟიმს. 2000 წლის რვა თვის განმავლობაში მოპოვებული იქნა 2,048,507 ტონა სამთო მასა. მათ შორის:

- 1,006,142 ტონა სპილენძის მადანი
- 1,043,731 ტონა გადახსნა (ფუჭი ქანი)

2000 წლის განმავლობაში გადამუშავებული იქნა 1,054,210 ტონა სპილენძის მადანი. გამოშვებული იქნა 45,570 ტონა სპილენძის კონცენტრატი საშუალო შემცველობით:

CU შემცველობა %	14.90
AU შემცველობა გრ/ტ	11.30

მეტალის სახით გამოშვებული შემდეგი რაოდენობის პროდუქცია

CU მეტალი ტონა	8,140.04
AU მეტალი კგ	640.43

ჯამში გამოშვებული იქნა \$10,223,607 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია.

## 2001 წელი

წარმოება ვითარდება, იზრდება წარმოების მოცულობები და შესაბამისად მუშათა საშუალო ხელფასი. იწყება ახალი პროექტების დამუშავება, საწარმოს გადაიარაღება და მისი გამოყვანა რთული მდგომარეობიდან. 2001 წლის განმავლობაში მოპოვებული იქნა 2,881,717 ტონა სამთო მასა, მათ შორის:

- 1,432,815 ტონა სპილენძის მადანი
- 1,448,902 ტონა გადახსნა (ფუჭი ქანი)

2001 წლის განმავლობაში გადამუშავებული იქნა 1,500,468 ტონა სპილენძის მადანი. გამოშვებული იქნა 57,189 ტონა სპილენძის კონცენტრატი საშუალო შემცველობით:

CU შემცველობა %	18.52
AU შემცველობა გრ/ტ	12.69

მეტალის სახით გამოშვებული შემდეგი რაოდენობის პროდუქცია

CU მეტალი ტონა	10,642
AU მეტალი კგ	700

ჯამში გამოშვებული იქნა \$10,262,580 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია.

## 2002 წელი

საწარმო მუშაობს სრული დატვირთვით, მუშავდება რეაბილიტაციის პროექტი. იზრდება მუშათა საშუალო ხელფასი. იფარება კრედიტორული დავალიანებები. საწარმო კომპლექტდება თანამედროვე ტექნიკით. იზრდება წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, ოქროსა და სპილენძის გამოსახულებაში. იწყება ახალი საბადოების დაძიება. მყარდება ბიზნესრეალიზაციის სტრატეგიულ მყიდველთან და მომავალ ინვესტორ კომპანია „გლენკორთან“. ახლებური მმართველობის სტილითა და ხელშეწყობით მატულობს შემოსავლებს (დივიდენდების) ოდენობა შეილობილი საწარმოდან, შპს „კვარციტიდან“, თუ 1998 წელს „კვარციტიდან“ მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 58,980 ლარი, 2000 წელს იგი გაიზარდა 1,869,379 ლარამდე, ხოლო მარტო 2002 წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 16,117,710 ლარი შეადგინა (13,202,375 დივიდენდის სახით, ხოლო 2,909,396 მადნის ღირებულების სახით).

2002 წლის განმავლობაში მოპოვებული იქნა 3,589,829 ტონა სამთო მასა, მათ შორის:

- 1,759,274 ტონა სპილენძის მადანი
- 1,830,555 ტონა გადახსნა (ფუჭი ქანი)

2002 წლის განმავლობაში გადამუშავებული იქნა 1,673,277 ტონა სპილენძის მადანი. გამოშვებული იქნა 52,190 ტონა სპილენძის კონცენტრატი საშუალო შემცველობით:

CU შემცველობა %	20.56
AU შემცველობა გრ/ტ	12.20

მეტალის სახით გამოშვებული შემდეგი რაოდენობის პროდუქცია;

CU მეტალი ტონა	12,793
AU მეტალი კგ	761

ჯამში გამოშვებული იქნა \$13,956,839 აშშ დოლარის ღირებულების

## 2003 წელი

საწარმო კომპლექტდება ახალი მიმე ტექნიკით: კატერპილერის მარკის სატვირთველი ექსკავატორებითა და საბურღი დაზვებით. მადნეულის ბაზაზე შემოყვანილია ბელაზის ტიპის ახალი სატვირთო მანქანები.

2003 წლის განმავლობაში დღემდე მოპოვებული იქნა 5,277,080 ტონა სამთო მასა, მათ შორის:

- 1,272,436 ტონა სპილენძის მადანი
- 4,004,644 ტონა გადახსნა (ფუჭი ქანი)

2003 წლის განმავლობაში დღემდე გადამუშავებული იქნა 157,977 ტონა სპილენძის მადანი. გამოშვებული იქნა 58,854 ტონა სპილენძის კონცენტრატი საშუალო შემცველობით:

CU შემცველობა %	18.7
AU შემცველობა გრ/ტ	21.2

მეტალის სახით გამოშვებული შემდეგი რაოდენობის პროდუქცია

CU მეტალი ტონა	12,138
AU მეტალი კგ	1,369

ჯამში გამოშვებული იქნა \$20,581,625 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. საწარმოს მარაგების სიზუსტის დასადგენად მიმდინარეობს საძიებო სამუშაოების გაფართოება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. გაფორმებული იქნა კონტრაქტები უცხოური კომპანიების სპეციალისტებთან, რომელთა დახმარებითაც ინერგება სამთო წარმოების სამუშაოების დასავლური სტანდარტებით წარმართვის პრინციპები.

საწარმო აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, საბურღო და სასაწყობო მუშაობების აღრიცხვების კომპიუტერული ქსელური პროგრამებით, რომლის ოპერირება ხდება საერთაშორისო საბურღო სტანდარტების მიხედვით. მომზადებულია ძლიერი კადრები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ მომავალი პერიოდის ფინანსურ და ეკონომიკურ გათვლებს.

სრულად არის დაცული საწარმოს თანამშრომელთა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პირობები. გაფორმებულია ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ. საკურნალო პოლისის ღირებულება შეადგენს 5000 აშშ დოლარს.

სრულად არის დაცული სალიცენზიო პირობები, სამთო ზედამხედველობისა და ეკოლოგიური დაბინძურების ნორმები. ამუშავებულია შპს „ეკოლოგი“, რომელიც სრული დატვირთვით ახდენს მჭიდრო მანქანების კარიერული წყლების გასუფთავებას და მისგან სპილენძის სრულად ამოღებას, რაც თავის დროზე მეტად აქტუალური თემა იყო.

ინტენსიურად მიმდინარეობს საწარმოს კეთილმოწყობის, სანაყაროებისა და დამბის რეკონსტრუქციის სამუშაოები. საწარმოს და მის შემოგარენში მიმდინარეობს შიდა და გარე მისასვლელი გზების რემონტი, ტერიტორიის მწვანე ნარგავებით გალამაზება.

შემუშავებულია და მოქმედებაში შედის საწარმოს რეაბილიტაციის პროგრამა. მიღწეულია შეთანხმება სტრატეგიულ პარტნიორთან, „გლენკორთან“ საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაზე.

ს/ს „მადნეული“ ბოლო სამი წლის მუშაობის შედეგად გაცემულია 14,692,446 ლარის ოდენობით ხელფასი. მათ შორის:

2000 წ.	2,138,234 ლარი
2001 წ.	3,463,851 ლარი
2002 წ.	4,411,735 ლარი
2003 წ.	4,678,626 ლარი (11 თვის მონაცემი)


მადნეულისა და მის ბაზაზე არსებული კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 25,000,000 მლნ-ზე მეტი გადასახადები.

წელი	2000	2001	2002	2003	ჯამი
მშრ წონა	45,570.00	57,189.00	62,190.00	64,854.00	229,803
CU შემცველობა %	14.90	18.52	20.56	18.72	
AU შემცველობა გრ/ტ	11.30	12.69	12.20	21.20	
CU მეტალი ტონა	8,140.04	10,642.57	12,793.83	12,138.84	43,715
AU მეტალი კგ	640.43	700.14	761.68	1,369.80	3,472
1 ტონა კონც. ფასი	185.88	182.95	223.80	354.10	
წარმ. პროდ. ღირებ.	\$10,223,607	\$10,262,580	\$13,956,839	\$22,960,050	57,403,076

შპს „კვარციტიდან“ მიღებულმა შემოსავალმა დივიდენდების სახით შეადგინა 22,792,050 ლარი, ხოლო მადნის ღირებულების სახით 8,615,385 ლარი. ჯამში 31,407,435 ლარი.

ყოველივე ზემოთ ხსენებული ნათლად ასახავს ს/ს „მადნეულის“ ზრდისა და განვითარების შედეგებს, დანართებად არის მოყვანილი თითოეული ტექნოლოგიური თუ ფინანსური მაჩვენებლების ზრდის გრაფიკები.

დღეს ს/ს „მადნეული“ მუშაობს სრული დატვირთვით და ახორციელებს მომავალი განვითარებისა და სრული ტექნოლოგიური გადაიარაღების პროგრამას, მომავალი გაფართოების, სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და საერთაშორისო ბაზარზე მისი სახელის დამკვიდრების მიზნით.









კახეთი

სამხედრო სამსახურის ხანა



ბასაშვილი ივანე... რუსეთის უშიშროების... სამხედრო სამსახურის ხანა...

ევროკავშირის საიმი რაპარდა

ევროპაში ისევ სკანდალია, ამჯერად გრანდიოზული და სახიფათო... ევროკავშირის საიმი რაპარდა...



მოლონეთის პრემიერი... მთელი ევროკავშირის მოსახლეობის 60%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს...

მთელი ევროკავშირის მოსახლეობის 60%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს... ევროკავშირის საიმი რაპარდა...

მოკლედ

ვილიანიძე... წყალდიდობას 100-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ათობით თასი დაშავდა...

ირანი... 1980-88 წლებში სადამ ჰუსეინის მიერ გაჩაღებული ომის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 100 მლრდ დოლარს სთხოვს...

რჩინთა... დააპატიმრეს ბოვევიკი, რომელიც გამოტყდა, რომ მის ჯგუფს აფინანსებს აზერბაიჯანის ისლამური ფონდი „ასალამი“...

საღამო... ნავალ იბრაჰიმ ალ-ჰასანმა განაცხადა, არაბული სამყაროს გმირი ნებაფოვლობით არავის ჩამბარდებოდა...

ქოლუზი... მცვესამსახურებმა დედაქალაქ ბოკოტოში ხელში ჩაიგდეს ევამბოხთა ერთ-ერთი თავდაპირველი მეთაური ანტონიო მარინი...

მოსკოვი... „ნაციონალთან“ მომხდარი აფეთქების შედეგად გამონეწული ზარალი დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარად შეფასდა...

ჩრდილოეთი კორეა... მიუღებლად მიიჩნია აშშ-ის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მიერ შეთავაზებული ერთობლივი განცხადების პროექტი...

ჩრდილოეთი კორეა... მიუღებლად მიიჩნია აშშ-ის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მიერ შეთავაზებული ერთობლივი განცხადების პროექტი...

ევროპაში... ყველაზე დიდი აკვარიუმი, რომელიც კოპენჰაგენში, ჩრდილოეთის ზღვის მუზეუმშია, ძალიან დაზიანდა ხანძარმა...

პალესტინის... ლიდერმა ისირ არაფატმა განაცხადა, იმედოვნებს, რომ ბეთლემში შობის დღესასწაულზე დასწრების უფლებას მომცემენო...

ავსტრალიის... ლიდერმა ისირ არაფატმა განაცხადა, იმედოვნებს, რომ ბეთლემში შობის დღესასწაულზე დასწრების უფლებას მომცემენო...

გაეროს უშიშროების საბჭოს ანტითალიბური სანქციების კომიტეტმა, რუსეთის წინადადებით, ბასაშვილი ივანე... სამხედრო სამსახურის ხანა...

კომენტარი №227

საბარკნები

ტერორისტული პარანორმალური

ათენში განაჩენი გამოუტანეს მემარცხენე ექსტრემისტულ ჯგუფს „17 ნოემბერი“. იგი საბერძნეთში 30 წელი მოქმედებდა და ევროპის უძველეს ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლებოდა...


ჯგუფის დაპატიმრება 30 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა. შესაძლოა მათ ხელისუფლების უმალეს ეშვონებში მფარველობდნენ...

ბანდა 2002 წელს ამხილავს, როცა ტერორისტული ქსიროსის ხელში ბომბი აუფეთქდა, დაჭრილის დაბრუნებას თითქმის მთელი ბანდის აყვანა მოჰყვა...

ჰაილ ყარაის პრეზიდენტობა სურს

ქაბულში მუშაობას შეუდგა ავღანეთის უზუცესთა საბჭო — ლოია ჯირგა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ჰაილ ყარაის მთავრობის მხარე შექმნილი კონსტიტუცია...

სხდომა გახსნა ავღანეთის ყოფილი მეფემ მოჰამედ ზაჰირ შაჰმა და ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჰაილ ყარაიმ...



დენტს ფართო უფლებამოსილების მიღება სურს, საკვლე მეთაურებს — ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება...

ყარაის არც ექვემდებარება, არც უზუცესთა საბჭოს, არც ცენტრალურ ხელისუფლებას...

ყარაის არც ექვემდებარება, არც უზუცესთა საბჭოს, არც ცენტრალურ ხელისუფლებას...

კომენტარი №274

ანსტადავლები აპარატები... 1. იჯარა - ლიზინგი... 2. იჯარა გამოყენებით... 3. საერთო ბიზნესი... 4. გაყიდვა გარანტიით...

გას „გაიკორი“... აწარმოებს ბურღვით საშუალო და სანაპირო ტექნიკურ ნაწარმს...

„სოხჯერონის“ თირონი... მეტალოპლასტიკის ქარ-ფანჯრები... მის: ზემბელის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით...


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 დეკემბრიდან დააღწია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შეძლევი კურსი...

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

თარაზულად:



5 „კრისტის“ აუტკონზე ახლახან გაყიდული ძვირფასი თვალი




6 მრავალწახნაგა სხეული




9 საყრდენი მონყობილობა



10 პირველი ადამიანი, რომელმაც ყოველგვარი სასუნთქ აპარატის გარეშე მიაღწია 100 მეტრის წიწხულს წყლის ქვეშ



11 თავდაზნაურულ-ბურჟუაზიული მოძრაობა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ საფრანგეთში



15 ზღვის ძუძუმწოვარი



17 მტაცებელი შევარდნისაირთა რიგისა



18 მაგნებელი



19 თემის მეთაური და მოსამართლე ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში



20 ცის თალი, ცის კაბადონი



24 ტროპიკების სიმბოლო




25 ადამის ვაჟი



26 სამახსოვრო ხელისმონერა



29 მოგზაურობა წრიული მარშრუტით




32 ცეკვის ხელოვნება



33 ანრი მარი არუეს ფსევდონიმი



34 პატრონი სახლისა, სადაც უკანასკნელი დღეები გაატარა ეკატერინბურგში ყოფნისას ნიკოლოზ მეორემ



35 მუსიკოსთა კოლექტივი

ზვეულად:



1 ნახერხით გატენილი ცხოველის ფიგურა



2 ცინდალი





3 კალმანის ოპერეტა



4 ფრანგი მეცნიერი, რომლის სახელსაც ატარებს დენის ძალის ერთეული



5 გასართობი




7 უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება



8 ბოთლზე დაკრული ქაღალდი



12 რუსი მომღერალი



13 მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება გამოტოვებული ხმოვნის ადგილას



14 სამთო დისციპლინა



16 გიგანტური ხე



21 იტალიური ავტომობილი




22 ოპტიკური ხელსაწყო




23 შეფუთვის სახეობა



27 თავდავიწყებით გატაცება



28 ენგელის მეგობარი



30 შავი ხილი



31 ბარძიმაშვილი, იაშვილი, დავითაია, კიკაბიძე (ანსამბლი)

კროსორლი შუადგინა რამეზ ალანიამ

№42-ში გამოქვეყნებული კროსორდის პასუხები: თარაზულად: 1. პოლანსკი; 6. ბეისბოლი; 9. აბაზანი; 10. პიკასო; 11. ანტენა; 15. ტეშმარტი; 17. სკამი; 18. კასტა; 19. პერანგი; 20. ხველები; 24. მაფია; 25. პროლი; 26. რეპუტაცია; 29. რაკეტა; 32. სუნამო; 33. გალერეა; 34. იუბილარი; 35. „ცეპელინი“.

ზვეულად: 1. ოაზისი; 2. სკუბი; 3. რეინი; 4. იბსენი; 5. პაკიპუკი; 7. ირანისტი; 8. ბზრიალა; 12. ჰემინგუეი; 13. სტივენდია; 14. იმპერია; 16. თათბირი; 21. ჰარვარდი; 22. ბატარეა; 23. ფლაგმანი; 27. იტალია; 28. დუბელი; 30. ლაფრა; 31. მედეა.

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ვინ როგორ მაიმუნობს!..

2 იანვარს სამარშრუტო ტაქსით წამოვედი ვაზისუბნიდან სპორტის სასახლეში. ჩემ გვერდით 8-9 წლის მშვენივრად გამოწყობილი ბიჭუნა იჯდა. კალთაზე შოკოლადის ფილები ეწყო. ისეთი საყვარელი გამოუმეტყველება ჰქონდა, მოფერება მომინდა, მაგრამ ვერ გავუბედე. ჩვენ წინ ახალგაზრდა ქალებს მისი ტოლი ბავშვები კალთაში ჩაესვათ. მძღოლმა ყველა გააფრთხილა: — ვინც ბავშვებისას არ იხდით, უფროსებს ადგილი გაუთავისუფლეთო. ზოგმა პატარამ დედას კალთაში გადასაცვლა, აუცი სასახლე-ზავრი ბიჭუნა კი ადგილიდან არ დაძრულა...



თითქმის ყველა მგზავრი სპორტის სასახლესთან ჩამოვიდა. მეც ჩასასვლელად მოვემზადე. მძღოლმა მგზავრები დიდიან-პატარაინად გადათვალა და გაჯავრებულმა მომმართა:

- ამ ბავშვისას რატომ არ იხდით?
- ჩემი არ არის! — ვთქვი, ლარიანი მივანოდე და ხურდა მოვიტხოვე.
- მამ ვისი ვარ, დედა! — დამეკიდა პალტოს კალთაზე ბიჭი.

გაოცებულმა და გაოგნებულმა ხმა ველარ ამოვიღე. უცებ გამიელვა თავში, რომ ბავშვს მგზავრობის ფული არ ჰქონდა და ხურდაზე ხელი ჩავიქნიე. მერე ბიჭს მივუბრუნდი, მინდოდა რალაც მეკითხა. ის კი ხელიდან გამიხსლტა და სიცილ-სიცილით მომამჩა:

— ვიმაიმუნე, დედა, ვიმაიმუნე!.. — და სპორტის სასახლეში ნაძვის ხის ზეიმზე შევარდა.

თუთი რატიანი, თბილისი

## პოლიტიკური ანეკდოტები:

\*\*\*

მიშა სააკაშვილი კრწანისის რეზიდენციის ეზოშია. წინ უდგას ჟურნალისტი მიკროფონით. შენობის ფანჯრიდან იყურება შევარდნაძე.

**ჟურნალისტი:** — ბატონო მიშა, როგორ გრძნობთ თავს კრწანისში გამოსახლების შემდეგ?

**მიშა:** — მეზობლებში არ გამიმართლა, თორემ ბინას არა უშავს!..



\*\*\*



ორი კაცი საუბრობს. უკანა ფონზე ცოტენ ბაკურიას, რომელსაც ხელში თმის ფენი უჭირავს და კვამლი ასდის.

**I კაცი:** — რატომ აღარ ჩნდება ცოტენ ბაკურია ტელევიზორში?

**II კაცი:** — თმის ფენი დასწვია და ასე „კაბრიოლტივით“ ხომ არ გამოჩნდება?!

ავთო მარგველაშვილი, თბილისი

## პირველხელალებთან



ეს ამბავი მართლა მოხდა ახალციხის სკოლაში. ახალბედა ია მასწავლებელმა მორიგ გაკვეთილზე ასეთი შეკითხვა დაუსვა პირველხელალებს:

— ბავშვებო, რას ვსვამთ წინადადების ბოლოს?

ყველას პატარა აჩიკომ დაასწრო:

— ღვინოს, მასწ!

მასწავლებელმა განყრომა დააპირა, დაცინვა გამიბედაო, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, — რას ერჩი, ბავშვი მართალია

— სადღეგრძელოც ხომ იგივე წინადადებააო და... აპატიია...

ვაჟა სამსონიძე, ახალციხე

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი შევიდნენ. ზამთარია. პალტოები გარდერობში ჩააბარეს და ქეიფი გამართეს. შეზარხოშებულები რესტორნიდან გამოვიდნენ და მეგარდერობსთან პალტოების ასაღებად მივიდნენ. აზერბაიჯანელმა 5-დოლარიანი მიაწოდა მეგარდერობს და პალტო აიღო, ამის შემხედვარე სომეხმა 20 დოლარი გადაიხადა და — სდანი ნი ნადაო, — უთხრა. ჯერი ქართველზე მიდგა. მასაც ბევრი არ უფიქრია, ჯიბიდან 20-დოლარიანი ამოიღო, მეგარდერობს გადააწოდა და უთხრა, — პალტო ნი ნადაო!

\*\*\*

კახეთის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა ფიზიკის კაბინეტის გასაღები დაკარგა და მოსწავლეებს უთხრა: კაბინეტის გასაღები დაკარგე და ხომ არავის გინახავთ?

ყველამ უარი განაცხადა: — არა, არ გვინახავსო. ბოლოს ერთმა, მიხოს ბიჭმა, ასწია თითი:

- მე ვიცი, სადაც იქნება თქვენი კაბინეტის გასაღებიო
- სად იქნება?
- სად და ალბათ მამაჩემს ჰქვია!
- ?!

— შინ რომ ბრუნდება, ყველაფერზე გაიძახის: იმაზე მკვია, იმაზე მკვიაო!

ავთანდილ ბერუაშვილი, ადიგენი



გლეხი ზის ნახევრად დანგრეულ ოდასთან. მეორე მოდის.

— მინაგო, ნინო ბურჯანაძეს ემხრობი?

- არა.
- რეიზა?
- იმიზა, რომე მაგი არაა პრეზიდენტი. მარტო მოვალეობას ასრულებს.

— მოვალეობას რომ ასრულებს, იმიზა უნდა მიემხრო, შე აბდალავე, თვარა არაფერს რომ არ აკეთებდა, იმფერი კი გყავდა 30 წელი და კი ეტყობა შენს სახლ-კარს...

ავთო რთველაძე, თბილისი



ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მზარდულ კარიკატურებს, მეგობრულ შარფებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაცხევინებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „ქვირის პალიზრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

მილოცვა

ქეთი ბათაშვილი და ვალერი სტეფანაშვილი ჩვენი მორფაჟი, გილოცავთ და სიხარულს, ქალიშვილის შექმნას...



საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მეგობრების საგვარეულო ფონდის დაკავებით...

დმანისის სატყეო მეურნეობის დირექტორს ვეფხველიძე ცინიძეს გილოცავთ შობა-ახალწელს და დაბადების დღეს...



შენი კეთილიშობურეული, შენი მეგობარი ვიქა ბათაშვილი და მისი შვილები გილოცავენ...



ბათია კვინიკაძეს ჩემო პაპაწინა ბარბარე, გილოცავ ბარბარეებს...

ნინო მამიკაძეს გილოცავთ დაბადების დღეს, 21 დეკემბერს...

ბენედიქტო გილოცავთ საცხოვრებელი სახლი ეზოთა, ქ. მცხეთაში...

ბიოგრაფიული საგუგურო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს...

ყვარლებო! მრავალწლიანი მსოფლიო საგუგურო კომპანია ავტოლობრი ტერიტორიის ანტიტერორისტული ბიზნესპარტნიორები...

გარ პრეზიდენტი მხოლოდ ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის...

მომსახურება

ეკლავა ვოლფრამის ერთჯერადი ნუსხით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღვივების გარეშე)...

კარბონის სპეციალური გარეგნული გარემოში და უკვალოდ დაიშლის...

ვაკუუმ ეკლავის ვოლფრამის ნუსხით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით...

ვაკუუმ ეკლავის ვოლფრამის ნუსხით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით...

ეტილია ვოლფრამის ერთჯერადი ნუსხით და ანესთეზიით, უკვალოდ გაუხუშებული...

სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალაქებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით...

ვაქცინაცია რბილი აგვის რესტორანის, საშუალებების გადაცემა...

მეგობრობა

პოლიკლინიკის დირექტორი ლიბიათიძე მკურნალობს უჩვეულო მარცხს...

საღიზიანებელი მდივანი - მაქსიმალური გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით...

პარკურთხვა, არითმია, სახსრები, მარცხი, ნერვიზი, დეპრესია, შიმშილი...

ალერგიის ვიზუალიზაცია ვერაში მიღებული გერმანული და ფრანგული აღწერებით...

ისრაელში შემუშავებული მეთოდით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი...

გასაგავი

კომპიუტერული სტუდია „დევი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის...

სწრაფად შეასრულებთ საფრენ პროგრამებს (ინგლისი, ვიზუალიზაცია)...

ფრანკ „ქრითი“ აცხადებს მოწვევას პროფესიული მომსახურების კურსებზე...

ნაცვლელის კულტურის სასახლე აცხადებს მოწვევას შუაგულ კურსებზე...

მოქალაქე გერმანულ ნებისმიერ სასახლეში 8 გაცემული - 50 ლარი...

Опытный преподаватель подготовит к поступлению в МГУ и другие престижные Российские ВУЗы на юридические, экономические и гуманитарные факультеты...

ციფრა

თავდაცვის, სასენიარო-სასტრატეგო, ცენტრალური პოსტოლოგები და რეკონსტრუქციის...

სხილის ნაგებ ნერვი, უსწრაფესი ვიზუალიზაცია, გარეგნული, მოცხარი, ფილა, ისამანი...

სქინის აპარატები შეაჯამებთ ფასად, სპეციალური ინდივიდუალური კურსის ჩასართით...

თბილისი, 12-16 სი. დასტურება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვების უფლებათა ასოციაცია „კლარტასი XXI“...

რას გაღიზიანებთ საკუთარ ნარკოზიზმში? გრანდიოზული ფასდაკლებები! რეალური „სიტყვა და საქმე“ 5 გამოქვეყნება -20%, 10 გამოქვეყნება -25%, 15 გამოქვეყნება -30%, 20 გამოქვეყნება -35%, 25 გამოქვეყნება -40%, 30 გამოქვეყნება -45%, 35 გამოქვეყნება -50% + უფასო დამზადება. 33-78-07

შ.პ.ს. „ელვასერვისი“ ქ. თბილისის მაცხოვრებლებს და ორგანიზაციებს ბიოგრაფიული საგუგურო სარეკლამო. მკითხველი, რომელიც 31 დეკემბრამდე გამოიწერს ჩვენ მიერ შემოთავაზებული გამოცემებიდან...

გამომწერის ბარათი მსურს გამოიწერო მსურს მივიღო საჩუქრად. მისამართი: თბილისი, მისამართი. მისამართი: თბილისი.



# უხნაური გასინიქელი არასრულ ოთახში

ამას წინათ ძალიან უჩვეულო ამბავი შემეძინა.

სამსახურიდან გვიან გამოვედი, საღამოვდებოდა. მარტო გაუფეცი შინსკენ მიმავალ გზას. უცრად იჭექა და წვიმა წამოვიდა. მიმოვიხედე, ახლომხლო მადანია ან დანესებულა არ შემიმჩნევია, არადა წვიმისაგან ვერაფრით დავიფარავდი თავს. ერთი ძველი სახლის აივნის ქვეშ შევიყუე. ფანჯრიდან, რომელიც თითქმის შინის პირზე იყო, ბიჭმა მომიკაკუნა და — შინ შემობრძანდითო, მითხრა. საერთოდ, ფრთხილი ვარ, რატომ დავყევი მის ნებას, ვერაფრით



აგისხნით. შევედი. ძველებური, უბრალო ავეჯით მონყობილი ოთახში აღმოვჩნდი. უცნაური სუნით იყო ყველაფერი გაჟღერებული.

უცხო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც რატომღაც შინ შავი პალტო ეცვა, მხრით იყო კედელს მიყრდნობილი და გარეთ იყურებოდა. მე ვითომ არც ვარსებობდი. პალტოდან მოუჩანდა გახეხილი რუხი ტილოს პერანგის მანუქები. სახე გამხდარი და ფერმკრთალი ჰქონდა. ახლა ვეღარ ვიხსენებ კარგად, მაგრამ მგონი, ფანჯრის წინ მიდგმულ პატარა მაგიდაზე უნესრიგოდ ეყარა მელნით ნანერი ფურცლები. ერთი პირობა, ისიც ვიფიქრე, სურათს ხომ არ ვუყურებ-მეთქი, ისეთი სიჩუმე იყო და იმდენად არაფერი არ იძვროდა იმ ოთახში.

უცხე უცნობი მობრუნდა და კარისკენ წავიდა. მანიშნა, გაველოდი. გარეთ გამოვედი. აღარ წვიმდა. დაუფეცი ვინრო ქუჩას, მერე მეორეს... მე წინ მივდიოდი. ის ორი ნაბიჯის დაშორებით მომყვებოდა.

დღეს, როცა ყველაფერს ვიხსენებ, ძალიან მივირის, რომ მაშინ შიში არ მიგრძნია, არც კითხვა გამჩენია, რატომ ან სად მომყვებოდა უცნობი...

ოკრობოკროდ აშენებულ პატარა კერძო სახლებს შორის მივიკვლევდი გზას. სახეები დამამახოვრდა, რომლებიც აშკარა გაკვირვებით გვადევნებდნენ თავს და ისევ ის სიჩუმე... არანორმალური სიჩუმე მედგა ყურებში. მსგავსი სიჩუმე არასოდეს მომისმენია...

მივედი ჩემი სახლის კართან. უცნობმა მხარი ამიქცია, გამასწრო, ეზოს კარი შემიღო (კერძო სახლში ვცხოვრობ). გამატარა. რკინის კარი ჭრიალით დაიხურა... შევედი.

შინ დედა დამხვდა. ფხვდაფხვ მძა შემომყვა, ისიც სამსახურიდან მოდიოდა. აქოშინებული, მთლად გალუმბული შემოვარდა და ჩემს მშრალ პალტოს შეხედა გაკვირვებით:

— რითი მოგიყვანეს?

— ფხვით მოვედი, — ვუპასუხე სწრაფად...

— კარგი რა! — გაიცინა ორზაროვნად ჩემმა ძმამ, — ფხვით მე მოვედი...

— წვიმისას თავი შევფარე ბინას... მერე წამოვედი.

დედაჩემი შეწუხებული მიყურებდა.

— რას ამბობ, შვილო, — მითხრა შემფოთებულმა, — საათ-ნახევარია, თავსხმა მოდის... შენ რა, არ გახსოვს, რითი მოხვედი სამსახურიდან?

გულმა რქში მიყო.

ყველაფერი გავიხსენე და მახსოვდა, მაგრამ... როგორი მოსაყოლია, რა გადაამხდა? ან რომ მეამბნა, დამიჯერებდა კი ვინმე?

ჩემი ძმა დღესაც ნანწყინია. მაყვედრის: მე შენთვის ისეთი ძმა ვარ, რომ სიმართლე დამიმალე და ტყუილებით ამიბნო თავგზა? ისეთმა მაინც ვინ მოგიყვანა მანქანით, რომ არ ამხელო...

ვგრძნობ, ისიც და დედაც მაკვირდებიან, აღარ მენდობიან. გადავწყვიტე, იმ აივნისას სახლისთვის მიმეგნო, სადაც უცნობი ვნახე, ის ოთახი მომეძებნა, რომელშიც გადასანვიმებლად შემიყვანა.

დაკვირვებით გაუფეცი სამსახურიდან შინსკენ მიმავალ გზას. სახლი ვიპოვე. ოთახში შევიჭყიტე... ფანჯრის პირდაპირ დიდი მუსიკალური ცენტრი იდო... ოთახში რბილი ტყავის ავეჯი და მოზრდილი ტელევიზორიც შევნიშნე.

მსგავსი არაფერი მინახავს მაშინ!

ამ შემთხვევამ მოსვენება დამიკარგა...

ნეტავ, ვინმე თუ არსებობს, ჩემს დღეში რომ იყოს, მსგავსი დაუფერებელი ამბავი რომ გადახდნოდეს თავს?!

ელენე კ. თბილისი

# ჩვენ გვჩვენებ გარაჟში მოჩვენება სხოვრობა...

— უკვე ექვსი თვეა ჩემს გარაჟში მოჩვენება ცხოვრობს და საგონებელში მაგდებს...

ყველაფერი ასე დაიწყო:

ზუსტად ექვსი თვის წინ ახალ ბინაში გადავედი და ახალი ავტოფარეხიც შევიძინე, სადაც დავაყენე თუ არა ჩემი ავტომობილი „ვოლგო“, იმ საღამოსვე დაიწყო სასწაულები... დავკვტე გარაჟის კარი, ავედი შინ და გამახსენდა, რომ სათვალე დამრჩა მანქანაში. ჩემი უმცროსი ვაჟი ჩავგზავნე ამოსატანად. დაბრუნებულმა ბავშვმა გაოცებულმა მკითხა, — მამა, კაპოტი ახდელი რატომ დატოვეო. მეც გაოცებულმა ვუპასუხე, — არა, შვილო, რა კაპოტი-მეთქი. ბიჭმა მხრები აიჩქა. ცოტა ხნით ჩავფიქრდი და მაინც დავუშვი, რომ კაპოტი ახდელი დამრჩა. თუმცა კარგად მახსოვდა, რომ კაპოტისთვის ხელი ნამდვილად არ მიხლია.



ცოტა ხანში მიმაფიქნდა ეს ამბავი და დილაზე ალარაფერი გამახსენია, მაგრამ სამსახურში წასასვლელად გარაჟში ჩასულს პირკატა მეცა. კარი გავეღე და რას ვხედავ, ჩემი მანქანის ყველა კარი, კაპოტი, საბარგულის სახურავი და ლიუჯი — ღია დამხვდა. ისმონა ხმადაბალი მუსიკა მანქანის სალონში ჩართული მაგნიტოფონიდან. შიშმა ამიტანა. არც მანქანაში და არც გარაჟში კაცივინის ჭაჭანება არ იყო. დაუძახე ჩემს უმცროს ვაჟს. ჩამოვიდა. რას მამაყირებ, შვილო, ეს რა გიქნია-მეთქი. ბავშვი გაოცდა. მივხვდი, არაფერ შუაში იყო. ალარაფერი მიტყვამს. ჩავვკე მანქანაში და ნავედი. საღამოს, სამსახურის შემდეგ გამახსენდა, რომ რალაც ჰქონდა შესაკეთებელი მანქანას და პროფილაქტიკაში მივედი. ბიჭებმა ჩახედეს მანქანას და მითხრეს, ყველაფერი საათივით არის აწყობილი. ნამოვედი გაოცებული. ფიქრებში წასულმა ვერ შევნიშნე, როგორ გამკრა გვერდი ვებერთელა საბარგომ. მარცხენა კარი შეიჭყტა. სულ ლანძღვა-გინებით დავაყენე მანქანა გარაჟში.

ქელო, დავადგინე, რომ ჩემს გარაჟში მისი წინა პატრონის სული ცხოვრობს. ცხონებული ავტომანქანის პროფესიონალი ტექნიკოსი და ოქროს მარჯვენის პატრონი ყოფილა, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულა საქმიანობის დროს. იმ დღე-ღამის სულის წყალობით მანქანა, ექვსი თვეა, პროფილაქტიკაში არ მიმიყვანია, არც მის გარეცხვა-დასუფთავებაზე შემინუხებია თავი. ყოველ დღით გაზიზზიებული მანქანა მხვდება. ღია არაფერს ტოვებს ჩემი „იმქვეყნიური“ მეგობარი, მაგრამ მაგნიტოფონი ყოველ დღით ჩართულია, ოღონდ დაბალ ხმაზე.

ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე, ახლობლები მეუბნებიან, — მღვდელი მოიყვანე, გარაჟი აკურთხებინე და იმ კაცის სულს დაასვენებო, მაგრამ ვერ ვაკეთებ ამას, მივჩვევი იმ ცხონებულთან ურთიერთობას. არ ვიცი, რა უჭირს, მაგრამ ერთი კია, ზოგჯერ დაღლილი და რალაცაზე გაღიზიანებული რომ ვარ, ვრჩები გარაჟში, ვზივარ მანქანაში, ვრთავ იმ მუსიკას, რომელიც ჩემს მეგობარს მოსწონს და ხმადაბლა ვლაპარაკობ ჩემს გასაჭირზე. გარკვეული ხნის შემდეგ საოცრად დამშვიდებული ავდივარ ოჯახში. ჩემი მეგობრის პატივსაცემად ხშირად მივდივარ მის საფლავზე. საკმაოდ ახლო ურთიერთობები მაქვს მისი ოჯახის წევრებთან.

ერთი სიტყვით, უჩვეულო, სრულიად აუხსნელ მდგომარეობაში ვარ.

გოგი ვ. თბილისი

**„საბალო-სალო“ გვერდის პასუხები**

I. აბა, გამოიცანი:

1) — ბ; 2) — დ; 3) — ა; 4) — ა; 5) — გ; 6) — გ; 7) — ბ) მ) —

ა); 9) — გ).  
II. ციყვი.  
III. ყინული.

**სამსონი** ახალი მშენებელი სახლ მსხატიის ქ17

სამსონი

არაყიპილის ქ.ჩ.14 ტელ: 25 34 34; 91 25 34










№50 (376) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

გამოკითხვის თემა „პოსტრევოლუციური სკანდალები“ იყო. რეიტინგს 469 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 147-მა ქალმა და 317-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: „როგორ შეიძლება სკანდალური მოვლენა?“

პოსტრევოლუციური სკანდალები



საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 37 წლის ინგა გლოვილია. მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „სისხლის სამართლის საქმე ლევან მამალაძის წინააღმდეგ“ 6-ის ნაცვლად 4 ქულით (მესხეთე ადგილი) შეაფასა, ხოლო „სატელეფონო ტერორი თბილისში“ — პირიქით — 4-ის ნაცვლად — 6 ქულით (მესამე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში მოხსენებამდე, 24 დეკემბერს, 17 საათზე.

შოთა ადამია

Advertisement for 'შოთა ადამია' (Shota Adamiya) featuring a photo of a young child and text about a contest. Text includes: 'აბა, ვინ ვარ ახლა მე?', 'გამოიცანით, ყოველგვარი შესავლის გარიშე...'.

№51 (377) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კპირის პალიტრა“ თავისი მკითხველბითვის აწყოებს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (წვენ და თქვენ) გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კპირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.


საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დანერგილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტი არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხეთ დამატებით კითხვასა და მკითხველის პრემიას.

№51 (377) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 24 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 დეკემბრის 13 საათამდე.



Form for the poll with various checkboxes and input fields. Includes a smiley face icon and a section for 'მკითხველის პრემია'.

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგს“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

შოთა ადამია

Advertisement for 'შოთა ადამია' (Shota Adamiya) featuring a photo of a man and text about a contest. Text includes: 'აბა, ვინ ვარ ახლა მე?', 'გამოიცანით, ყოველგვარი შესავლის გარიშე...'.

**ფოტო განყოფილების**  
— არ დამეღათ ტა?... ამ ახალ წელს მარხვას...



მეგობარს ურეკავს მეგობარი:  
— წაიკითხე? დღევანდელ გაზეთში ამ იდიოტებს ჩემზე ნეკროლოგი დაუბეჭდავთ!  
— ჰოო?... მოიცა კაცო, საიდან მელაპარაკები?!



**23/XII**  
**ახალი მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**  
23/XII 11-დან 13 საათამდე  
25/XII 11-დან 13 საათამდე

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ბალანსი; 4. მამონტი; 6. ნაინა; 7. ეპოქა; 8. ვარდი; 9. აივანი; 12. არმანი; 15. დრამა; 17. რეზიუმე; 18. ვენდეტა; 19. ულისე; 21. სტადია; 22. ფიზიკა; 26. ნერსე; 27. მუქთა; 28. ტრირი; 29. ინდაური; 30. აბაფური.  
**შვეულად:** 1. ბალისტიკა; 2. ინტერვიუ; 3. ლითოგრაფია; 4. მალარიჩი; 5. იეროგლიფი; 10. ვაზნი; 11. ნიუზი; 13. რინგი; 14. არესი; 15. დეუ; 16. ავე; 20. ინსტრუქცია; 21. სიურპრიზი; 23. ადიუტანტი; 24. დინამიტი; 25. აპელაცია.



**კროსვორდი**

სამკვირეო კვირები	კროსვორდის ნაწილის ფორმები	კროსვორდის კონსტრუქციის ფორმები								
→	→	→	→	→	→	→	→	→	→	→
↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙
↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘
↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖
↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗
↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙
↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘
↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖
↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗
↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙	↙
↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘	↘
↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖	↖
↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗	↗

**პასუხები:**  
1. მამონტი; 2. ინტერვიუ; 3. ლითოგრაფია; 4. მალარიჩი; 5. იეროგლიფი; 6. ნაინა; 7. ეპოქა; 8. ვარდი; 9. აივანი; 10. ვაზნი; 11. ნიუზი; 12. არმანი; 13. რინგი; 14. არესი; 15. დეუ; 16. ავე; 17. რეზიუმე; 18. ვენდეტა; 19. ულისე; 20. ინსტრუქცია; 21. სიურპრიზი; 22. ფიზიკა; 23. ადიუტანტი; 24. დინამიტი; 25. აპელაცია; 26. ნერსე; 27. მუქთა; 28. ტრირი; 29. ინდაური; 30. აბაფური.

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნების 2004**

**„კვირის პალიტრა“**

**გინდეთი განათა**

**5+1**

**8 გასართობი გვერდი = განახლებადი TV არხადი**

**შურადღება:** „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკრ.) რეგისტრაცია შეთავაზებულია დასაბუთებლად.

**51 უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი

---

**სიტყვა და სახე**

---

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება.

№51 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 25 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და სახე“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ზღაპრულად ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ძარალი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, შუშაისი, სამტრედიე, აბაშა, სენაკი, ხოლო, ზუგდიდი, ფოთი, მოკულეთი, გათუმი, მოკულეთი, ლანჩხუთი, კანი, წყალტუბო, გაღდატი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიპული, აპროლაური, ონი, გორჯოში, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სილნალი, ყვარალი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და სახე“ საფოსტო ყუთები იცვლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

**R** ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**მთავარი რედაქტორი ლალი გუთუაშვილი**  
**მთ. რედაქტორის მოადგილეები**  
**ნუცა ლომიანი, გიორგი თეოდორაშვილი**  
**სარედაქციო მოვლა**  
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სახალისი უკან)  
რედაქცია: 33-39-54  
ტელ.: რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 99-74-44  
palitra@access.sanet.ge  
www.opentext.ge/kvirispalitra  
სარედაქციო ნომერი © 1518  
„კვირის პალიტრა“  
გაზეთის ორგანიზაციით  
გაზეთი დამუკიდებელია  
გამომცემლობა „კოლორი“.